საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 2 17 00770597

03/07/2017

დადასტურება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - "ცენტრი") 2017 წლის 31 მაისს შემოვიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მარტის №33031001600131007 განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის №3/2647-16 გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, რომლის თანახმადაც ცენტრს დაევალა გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2002 წლის 2 ოქტომბერს მაია გიგაურის სახელზე გაცემული ე №002350 დიპლომის ნამდვილობის დადასტურებისა და მაგისტრის დიპლომთან გათანაბრების თაობაზე.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ (შემდგომში – „ნამდვილობის დადასტურების წესი“) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ცენტრი.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის №3/2647-16 გადაწყვეტილების შესაბამისად, მაია გიგაურის მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლება აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენდა საქართველოში აღიარებული ე №002350 დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის №3/2647-16 გადაწყვეტილების შესაბამისად, ე №002350 დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან, შესაბამისად მაია გიგაურის მიერ მიღებული განათლება უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1, ტელ: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის №3/2647-16 გადაწყვეტილების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ნამდვილობის დადასტურების წესის მე-3 მუხლის პირველი, მე-3 პუნქტებისა და მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცენტრი ადასტურებს ე №002350 დიპლომის ნამდვილობას.

მოცემული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / საერთაშორისო განათლების სამსახური
სამსახურის უფროსი
მაისურაძე ანა

ეროვნული ცენტრი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT * LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566

დიპლომი

ე.№ 002350

მიეცა მაია გიგაურს

მასზედ, რომ 200 1999 წელს იგი შევიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 2002 წელს

სამართალმცოდნის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ბ.ბერუაშვილი

რექტორი

„2" ოქტომბერი 2002 წელი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY * 204864548 *

DIPLOMA

E№ 002350

Is given to Maia Gigauri

who entered Iv.Djavakhishvili Tbilisi State University, the faculty of Arts and Humanities in 200 1999 and graduated from it in 2002 in the following subject:

Jurisprudence

Chairman of the examination board B.Berhuashvili

Seal

Rector

Date October 2, 2002

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY * 204864548 *